

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

## რედაქცია

ვალენტიან პრახოვიჩი, რედაქტორი, მუხრანის სსსს-ის  
ქვემოთ.

## ხელის-მოქმედი

მიიღება „დროებას“ რედაქციის რედაქციის  
რედაქტორის მისამართზე: ВЪ Тифлисъ, въ редакцію  
„Дროება“ „Иверია“.

## „დროებას“ იმპერიის უსანი

წელიწადში 6 თვეს 3 თვეს  
დროებას „ივერია“ ერთად . . . 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ.  
„დროებას“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ.  
„დროებას“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.  
ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5 კაპ.

## უსანი განცხადება

დიდი ასობით ასობე 1 კაპ. ჩვეულებრივის ასო.  
მთავრულით ასობე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი  
ასობე შეთანხმებული კაპ.  
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწავლის  
და შეამოწმებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებსა და  
უბუთებულ წერილებს რედაქცია უფრთხილად დაუბრუნებს  
ავტორს.  
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა  
ენებზე.

## ტელეგრაფები

(ხალხთა შორის საგანგებო)

**პეტერბურლი, 15 იანვარს.** დღეს,  
თეკელებზე გამარჯვებისათვის, სა-  
ზამთრო სასახლის კარის ეკლესიაში  
ზანაქლისი განდახადეს და ზანბასნის  
სროლა იყო.

გან. „ზორიანდოში“ დაბეჭდილან,  
ასძალეთის ელჩმა ანობა ჩვენს გა-  
რე საქმეთა მინისტრსა, რომ, რუ-  
სეთის მოთხოვნით, ასძალეს მთავ-  
რობამ მიიღო ყოველი დანისძაუბა  
აჯანყებულ ქუთუბის დასამშვიდებ-  
ლად.

ამავე გასეთის სიტყვით, ინგლი-  
სისა და ჩვენს მმართველობას განცხად-  
ებული მიწერ-მოწერა აქვთ ერთმან-  
ერთთან ახალ-თეკეს ახალს სამს-  
გრების თაობაზე.

თფიციანდურად გამოცხადებულია  
დენ. სკობელევის სახელაზად უძა-  
ლესი განმმტა, რომელშიაც ჩამო-  
თვლილან იმის დამსახურება და წმ.  
გიორგის მეორე ხარისხის ორდენის  
ბოძება.

**პეტერბურლი, 15 იანვარს.** უძა-  
ლეს ბრძანებით დენ. სკობელევის  
თეკელებზე გამარჯვებისათვის მიეცა  
დენერალ-ლეიტენანტის ჩინი. დღეს  
ვევლა დენერლები შტაბისა, ანთისა  
და ფლაცისა მოწვეულნი ანთის სა-  
სახლეში თეკელებზე გამარჯვებისა-  
თვის ზანაქლისის მოსასმენელად.

დენ.-მთავარი ლომაქინი თფილისის  
გუბერ. სამხედრო უფროსად დანიშ-  
ნა. პეტერბურდას ქალაქის რჩევამ  
მეცნიერი მოგზაური ზრეკვასსვი

პეტერბურდას საზატიო მოქალაქედ  
ანბნა.

**პეტერბურლის ბირჟა, 15 იანვარს.**

(„ხალხთა შორის ტელეგრაფის საგანგებო“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	95	12
მეორესი	93	12
მესამესი	93	50
მეოთხესი	93	—
პლმოსავლეთის პირველი	92	—
პლმოსავლეთის მეორე	92	—
პლმოსავლეთის მესამე	92	12
მქრო, 1/2 იმპერიალი	7	82
თფილისის სააღგ.-მამ. ბანკის ვი- როას ფურცელი	—	—
შინაფანის 5% სესხი ბილეთები:		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის	222	50
მეორე სესხის	221	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	25	9 პენსი
ბამბურლი	214	— ცენტი
პარიჟი	265	— სანტიმი
ვენა	129	50 პფენიგი
პავკასიის კერასინი	—	—

## ჩვენი ექიმები

ტფილისი, 16 იანვარს.

პარგი ექიმი სითქმის ისეთსავე აუ-  
ცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალ-  
ხისათვის, როგორც მღვდელი და მას-  
წავლელი. როგორც კარგი მღვდე-  
ლი გამკურნებელია ადამიანის სული-  
სა, როგორც კარგი მასწავლებელი  
და აღმზრდელი განმკურნებელი და  
სწორ-გზაზე დამყენებელი ტფინისა,  
გონებისა, სწორეთ ისე კარგი ექიმი

განმკურნებელი და დამცველია ადა-  
მიანის სხეულისა, ჯანმთელობისა.

საუბედუროთ, ამ ჟამად ჩვენ ვერც  
ერთით ვერ დავიტრაბახებთ: ჯერ  
არც ხეირიანი მასწავლებელი გვეყა-  
ნან, არც სულიერი მამები და ხორ-  
ციელი ექიმები. მაგრამ დღეს ჩვენ  
მხოლოდ ჩვენებურ ექიმებზედ გვინდა  
ორიოდე სიტყვა ვსთქვათ.

ექიმი, რასაკვირველია, ყოველთვის  
საჭიროა კაცისათვის, რადგან ავათ-  
მყოფობა ყველგან და ყოველთვის  
არის. მაგრამ უექიმობა ყველაზე  
უფრო აშკარად დაეტყობა რომელ-  
სამე ქალაქსა ანუ მაზრას, როდესაც  
ამ ქალაქისა ანუ მაზრის მცხოვრებნი,  
სხვა-და-სხვა გარეშე გარემოებათა წყა-  
ლობით, უფრო ხშირად ხდებიან ხოლ-  
მე ავათ. მაგალითად, ზამთარში, რო-  
დესაც ხშირად ცივდებიან, შიმშილო-  
ბის ანუ სიძვირის დროს, როდესაც  
ლარიბი ხალხი ცუდ საკმელსა სჭამს,  
რომლისამე გადამდებ ანუ მოარულ  
ავათმყოფობის დროს და სხვ. და სხვ.  
პი ამისთანა დროს ეჭირება ხალხს  
ბლომად და კარგი, მკოდნე ექიმები.

მაგრამ ჩვენში ამისთანა საზოგადო  
გაჭირების დროისთვის კი არა, ჩვეუ-  
ლებრივ, ჯანმთელობის დროისთვისაც  
არ არიან საკმაო ექიმები. ჩვენს  
მკითხველს ამ გაზეთის ფურცელზე,  
უეჭველია, არა-ერთხელ უნახავს ხან  
ერთის მხრიდან და ხან მეორედგან  
საჩივარი, რომ ექიმი არა გვეყავს,  
ხალხი უპატრონოთ იხრცებაო, ყუ-  
რის-მგდებელი და დამრიგებელი არ-  
ვინ მოგვეძევაო და სხვ.

ჯერ ჩვენს დიდ ქალაქშიაც, სადაც  
ასზე მეტი ექიმი ითვლება, ჯერ აქაც

ვერძობთ უექიმობას, — რაღა უნდა  
იყოს მაზრაში, სადაც ოც-ოც-და-ათი  
ათას მცხოვრებლებში, რამდენიმე ასი  
ვერისი სივრცეზე გაფანტულბზე  
მხოლოდ ერთი ექიმი ითვლება და  
ისიც ისეთი, რომელსაც ხშირად ხალ-  
ხის ენა არ ესმის, რომელმაც ხალ-  
ხის საჭიროება, ხასიათი, ჩვეულება  
და ცხოვრება არ იცის, რომელიც  
პეტერბურლიდან გადმოვარდნილა და  
სადმე მიყრუებულს უეზღში მსახუ-  
რებს!

მაგრამ ექიმების რიცხვის სიცოტა-  
ვის გარდა, ხალხი უჩივის კიდევ იმათ-  
გან უფულოთ თავიანთ მოვალეობის  
აღსრულებას, იმათ ანგარ-მოყვარეო-  
ბასა და სხვა ამ გვარ დასაძრახ ხასია-  
თებს.

— თუ პრაგონის ფულს და ვიზი-  
ტისას ცალკე ამდენსა და ამდენს მომ-  
ცემ, წამოვალ შენ ავათმყოფთან, —  
ეუბნება ხშირად მაზრის ექიმი რო-  
მელიმე სოფლიდან მოსულს მძიმე  
ავათმყოფის პატრონს-გლეხს.

— ჩემი რეცეპტის ფასი სამი ანუ  
ხუთი მანეთიაო! მუბნება ქალაქის  
ექიმი გაჭირებულ კლიენტს, რომე-  
ლიც იმასთან მოსულა საექიმოდ და  
ჩჩევის მისაღებად.

რა უნდა ჰქნას, როგორ უნდა  
ისარგებლოს ამისთანა ექიმისაგან გა-  
ჭირებულმა ხალხმა? როგორ უნდა  
მიმართოს იმან ექიმს ამისთანა სიძვი-  
რეში, როდესაც მუდამ დღე ცარიე-  
ლი ლუკმა-პურის შოვნაც უჭირს?

და აკი, ამ გვარი ხასიათების რომ  
იყოს ჩვენი ექიმები, არც მიმართავს  
ხოლომე ნასწაველ, პატენტთან ექიმებ-  
სა! მაგიერად იძულებულია მიმარ-

## „დროების“ ფელტონი, 17 იანვარს.

### ბოშპარ ივანეს-ძე კობიაშვილი

ამ დროს, როდესაც საზოგადოებას  
განუძრახავს უკვდავი პოემის, „მეფ-  
ხის ტყაოსნის“ შესწორება და ეძიებს  
ძველთა ხელთ-ნაწერთა; როდესაც  
უეჭველია ყოველთათვის, რომ „მეფ-  
ხის ტყაოსანი“ იყო ოჯახისათვის  
უუძვირესი სიმდიდრე, დაუფასებე-  
ლი საუნჯე და ცდილობდნენ სკოდ-  
ნოდან, შეპირათ, — ამ დროს უაღა-  
გო არ იქნება მოვიგონოთ ის პირნი,  
რომელნიც ითვლებოდნენ ზედ-მი-  
წვენი მკოდნეებად ამ პოემისა და  
რომელთაგან შეპირად ცოდნა იყო  
საკვირველი და შესანიშნავი; ვითა  
მალალი ნიჭი ბუნების მესხიერები-  
ნა. ამისთანა შესანიშნავი პირი იყო  
აზნაური ბოშპარ ივანეს-ძე კობია-  
შვილი.

წინად ვიღრე ვიტყვით ბოშპარ  
კობიაშვილის საკვირველს მესხიერე-  
ბაზედ და მის „მეფხის ტყაოსნის“  
შეპირად ცოდნაზედ, უნდა მოგახსენ-  
ნოთ, რომ ცხოვრება ამ კაცისა არის  
აგრეთვე შესანიშნავი, ვითა ისტორი-  
ული ფაქტი უკანასკნელ საქართვე-  
ლოს დროისა.

ბოშპარ კობიაშვილი დაიბადა სო-  
ფელს კობინ-კარს, ლუშეთის მაზრას,  
და იზდებოდა თავის მამის სახლში,  
ვითა შვილი ბუნებისა. შმაწვილობის  
დროსვე იგი ირჩეოდა სხვა ყმაწვილ-  
თაგან: გონიერებით, გულგონობით,  
სიტყვიერებით და მესხიერებით. — შმა-  
წვილი სოფელში რასაც დაინახავდა,  
რასაც გაიგებდა, დაახლოვებოდა და  
გაგონილს სიტყვა-სიტყვით განიმეო-  
რებდა.

ამისთანა ნიჭი გასაოცრად ჰქონ-  
დათ ყველასა და ტიტინსა ამ ყმაწვი-

ლისასა სასიამოვნოდ ისმენდნენ დიდი  
თუ პატარა, მოხუცი თუ ყმაწვილი.

როდესაც ბოშპარი მოვიდა წლო-  
ვანობაში, შეიქმნა ვაჟ-კაცად, მკლა-  
ვი გაუმარდა და შეექნა მკლავად,  
იგულისა, მტერთა დასამარცხებლად,  
მაშინ მასზედ მიქცია ყურადღება მე-  
ფის-ძემ აღმასხანმა და მიიღო თავის  
სასახლეში კარის-კაცად და მოხელედ.  
აღმასხანმა შეიყვარა ბოშპარ, დი-  
დათ სწყალობდა და უწოდებდა: „ჩე-  
მო ბოშპარ, ჩემო ბოშპარ!“

შამთა ვითარებისაგან მომეგმ ბიორ-  
გმი XIII მიმართა რუსეთის იპერა-  
ტორს, სთხოვა შემწეობა და დაფარვა  
საქართველოში მტარვალთაგან, რო-  
მელთაც ააოხრეს ქვეყანა და აღსა-  
გინებლათ მისსა აღარ ჰქონდათ ძა-  
ლი. იმპერატორმა აღუთქვა შემწეო-  
ბა და მფარველობა; ამისთვის გამო-  
გზავნა თვისი ჯარი, რომელსაც 1799

წელსა მეფის-ძე აღმასხან ანუ მახ-  
ტანგ მიეგება ანანურს და მას სხვათა  
შორის, ახლდნენ ბოშპარ, ღმირთი,  
ღურპიშხან კობიაშვილები და ბრი-  
გოლ შარანგოზიშვილი.

ამ პირთა, ვითარცა სასახლის კაც-  
თა და მოხელეთა უეჭველია უნდა  
სკოდნოდათ მიხეზი რუსთა ჯარის  
შემოსვლისა საქართველოში; მაგრამ  
შამინებულნი და შევიწროებულნი  
მტერთაგან არ იყვნენ დარწმუნე-  
ბულნი რუსთა მეგობრობაზედ და  
ესენიც მიჩნდათ მტრებათ და ამაოხ-  
რებლათ სამეფოსა; ამიტომ 1803  
წელსა აღმფოთეს არაგველები. . . . .

მაგრამ ეს ოოხი კარის-კაცები  
იმავე წელს შეიპყრეს, დაბოროტნი  
დაატუსაღეს ანანურის ციხეში და  
უნდოდათ გაგზავნა რუსეთს — სიმბირ-  
ში. მს რომ გაიგეს მათ სიმბირში



თოს სოფლის ექიმებს, დედა-კაცებს, მარჩიელებს და სხვა ამ გვარ მატყუარებს.

დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ, თუ ჩვენი ხალხი დღევანდლამდინ ვერ განთავისუფლებულა ამ ცრუ-მორწმუნოებისაგან, თუ ის ახლაც მიმართავს ხოლმე მარჩიელების შელოცვასა, ამაში დამნაშავე ჩვენი ნასწაველი ექიმები არიან: ისინი არ აქცევენ ხალხის გაჭირებას არავითარ ყურადღებას, ანგარ - მოყვარობით მოქმედებენ და ამის გამო წყალ-წალღებული ხალხი ძალა-უნებურად ხავსს ექიდება, ძალა-უნებურად მიმართავს მარჩიელს და იტყუებს თავს. აბა გაგზავნეთ სადმე სოფელში ანუ მახრამში კარგი, პატიოსანი, თავის საქმის ზედ-მიწვევით მცოდნე და თავის მოვალეობის რიგიანად აღმასრულებელი, ხალხის ბედის გულ-შემატყვიარი ექიმი, და მაშინ ნახავთ, თუ ამისთანა სოფელში ანუ მახრამში იმ წამსვე ყველა მარჩიელები არ განქრნენ, თუ ხალხმა კიდევ მიმართოს ამ მარჩიელებს! მაგრამ სად არიან ჩვენში ამისთანა ექიმები?

პირ-იქით, იმისთანა ექიმები, რომელნიც ყველაზე პირველად ავთიმყოფის ჯიბებს შესჩერებიათ კი ბლომად მოიძებნებიათ. ბლომად მოიძებნებიათ იმისთანაები, რომლის მზგავსიც ქვემოთ დღევანდელ ჩვენის გაზეთის „ახალ ამბებშია“ აწერილი.

ჩვენ გვგონია, დროა, რომ უმაღლესმა მთავრობამ ამ გვარ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება და ერთი რამ ღონისძიება მოახდინოს ამ მხრით ხალხის დახმარებისათვის.

ახალი ამბები

თუმცა იანვარში გამოცხადებულ ის ტაქტიკით პური ცოტა გაიფუტა ასე, რომ თეთრი პური, რომელიც დღემდინ 6 კ. ისყიდებოდა, დღეს 5 კპ. არის და შავი, რომელიც 5 კ. იყო, ახლა 4 კ. ისყიდება; მაგრამ მაგიერად გამოცხადებარ პურის ღირსებამ, ფასის

წასვლას სიკვდილი ირჩიეს და გადასწყვიტეს, უთუოთ გამოპარვა ციხილამა და ქრისტეს აღდგომის ღამეს გადმოცვიდნენ ანანურის ციხილამ, სადაც მოშარ პობიაშვილმა მოიტეხა ფეხი, მაგრამ ამ შემთხვევამ ერთი წამიც არ შეაყენა. მაშინვე წამოიკიდეს მხარზედ, როგორც მგელმა ცხივარი, ფეხ-მოტეხილი მოშარი საჩქაროთ გავიდნენ არავის, აირბინეს პირ-და-პირ მალალი მთა, და სვენეს მთის წვერზე და იქილამ უყურებდნენ ციხესა; სადაც შეექმნათ საშინელი ყვირილი მცველთა, როდესაც გაიგეს გაპარვა ტუსაღებისა და ციხის გარეთ იპოვეს მხოლოდ მათი ქულები.

ამ ამბავსა თვით მოშარ პობიაშვილი უამბობდა ხალხსა გულმტკივნეულად, ბოლოს მოჰყვებოდა შემდეგის ლექსის თქმასა:

მოკლების თანავე, იკლო: მეფურნები გაუტრელის ფქვილით ზელავენ პურსა ასე, რომ განსაკუთრებით შავ-პურში ხშირად ჭილობი, ბალანი, რალაც ნაჭრები შეხვდება, რომელიც აღამიანს ჭამის მადას უკარგავს.

მიგვიტყვიეთ ამაზედ ძალაქის გამგეობის ყურადღება.

\* \*

რუსულ გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ძაგასიის მთავარ-მართებლის ბრძანებით, დანიშნება ცალკე კომისია ბათუმის მახრამ მცხოვრებთა საგვარ-ტომ შთამომავლობისა და მამულების კუთვნილების გამოსაკვლეველათაო. ამ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული არის პატივცემული ისტორიკოსი და არხეოლოგოსი დ. ზ. ბაქრაძე.

\* \*

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„ამ რამდენიმე თვის წინათ ერთმა ღარიბმა უმაღლესმა კაცმა, ავთიმყოფმა ცუდის ავთიმყოფობით, მიმართა ერთს აქაურს ექიმს ბ-ანს სახლში მოსარჩინათ. ამ ექიმმა თითო რეცეპტის დაწერაში 3 მანეთზე ნაკლები არ დასჯერდა. შაწვლმა კაცმა, თუშცა იმოდენა შეძლება არ ჰქონდა, სამ-სამი მანეთი აძლია თითო მისვლაში ამ ექიმთან, მაინც არაფერი სთქვა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ სამი-ოთხი რეცეპტით უთუოდ შეაღებდა ავთიმყოფობისაგან; მით უფრო ჰქონდა იმედი, რომ ეს აქიმი ამ ავთიმყოფობის ნაწილში გამოცდილად აცხადებს თავის-თავს.

„მაგრამ ისრე არ აუხდა, როგორც ჰტიქრობდა: რამდენიმე თვემ განვლო, მაგრამ ამას მორჩენა არ დაეტყო. შეძლებაც ნებას არ აძლევდა გიგროძელებინა ამ ფასით სიარული ექიმთან. მაშინ მიმართა იმას ხევეწით, აუხსნა თავის სიღარიბე და სთხოვდა თითო მანეთს დასჯერებოდა ყოველ მისვლაზე. აქაც მოსტყუდა: „მე თავის დღეში 3 მ. ნაკლებ არავისგან

ვიღებ თითო რეცეპტის დაწერაში.“ შემოვსმა იმას ექიმისაგან დაბლანხით.

„ამის გამგონე თავ-დაკიდებული გამოვიდა იმ პატიოსანი ექიმისაგან ის უმაღლესი კაცი და იძულებული შექნა თავი დაენებებინა მორჩენისათვის და მისცემოთ თავის შავ-ბედის წერას-

„ის პატიოსანი ექიმი ბ-ანცი კი აცხადებს გაზეთებში, ღარიბებს მუქთად ვსწამლობო!!...“

\* \*

ძალიან სამდურავს გვწერენ მუთონილამ იქაურს პოლიციასედ. მართბ ხელ-აღებით ეკიდება იგი თავის მძიმე მოვალეობასა და ამის გამო ყოველ-გვარი ცუდ-კაცობა თან-და-თან მატულობს ჩვენს ქალაქშიო, მარტო ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ექვსჯერ მოხდა ქურდობაო და მხოლოდ ერთხელ აღმოაჩინეს ქურდებო.

„დროების“ კორექცია

ზოთი, 13 ახვანს. ბწერთ კიდევ რამოდენიმე დამატებით ცნობებს იმ უბედურებაზედ, რომელიც გუშინ ღამით ზოთს ეწვია და რომელზედაც გუშინ გაცნობეთ კიდევ.

დღეს გუშინდელზედ ოთხი ვერ-შოკი კიდევ მაიბატა წყალმა, მთელი ღამის შეუწყვეტელი წვიმის გამო. მითქმის მესამედი სახლი არ დარჩენილა რომ წყალი არ შესულიყოს. სადაც ხის ბოგირები იყო, სულ აიღო წყალმა და დაქანებს ქუჩებში. აგრეთვე ბევრი საშენებელი მასალა წაიღო ძაპარქინას ტყის მასალის საწყობებიდამ, ზოგს ზღვისკენ გაუძახა და ზოგს ქუჩებში ატრიალებს. ამათი პატრონები დიდ ზარალში უნდა იყვნენ. ბევრი ქერების ფქვილის ბუნტები დაუსველდათ ვაჭრებს, რომელნიც გარეთ დახურული ეწყო. ბევრს ამ გვარს ზარალებს ასცილდებოდა მცხოვრებლები, რომ პოლიცია გვივარგოდეს, რომ მას შეეტყობინებინა

მცხოვრებლებისათვის დროზედ ამ გვარი საშინელი წყალ-დილობის მოახლოებაზედ და ამისი განკარგულება საძნელო არ იყო პოლიციისათვის; სად არის ამდენი მოასზრება!

ბევრი ამბობენ დარწმუნებით, რომ სულაც ვერ შემოვიდოდა ქალაქში წყალიო, თუ პოლიცია ხეირიანი გვეყვდესო. და ეს არც ტყუილია: შეიძლებაო თავის დროზედ იმ კარების (ПЛИУЖИ), რომლიდანაც ძაპარქინიდან შემოვარდა წყალი ისრე, კარგათ გაკეთება, რომ წყალი ვერ შემოასულიყო და დამაზედ ხომ გერას შემთხვევაში ვერ გადმოვიდოდა, როგორც არც გადმოსულა, რადგან ის საკმაოთ მალალია.

შეურადლებობით დამბას ბევრგან აუფუჭებენ კერძო პირები.

ბატ. ლაზარევიჩის პოლიციმისტრობის დროს, რომლის ხელშიც ეს რიონის და ძაპარქინის დამბები გაკეთდა, სასტიკათ აღკრძალული იყო დამბებზედ ცხენით ან სხვა რამეთი სიარული და არც არავინ დადიოდა. ამას ის ძალიან ყურადღებას აქცევდა, რადგან იცოდა შოთისათვის ამისი დიდი მნიშვნელობა. ახლა კი მგონია, კიდევ რომ გადასხაროს ვინმემ, მაშინაც არავინ გასცეს ხმა, არა თუ ზედ სიარული ვინმეს დაუშალონ.

სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ რაც ლაზარევიჩის დროს გაკეთებულია შოთისათვის, ყველაფერი საფუძვლიანია, ყველაფერი საგანძურია. მის მერმეთ თუ რამე ხდება თუ არა, არაფერი კეთდება.

ამ წყლობაზედ ერთი გონივრული განკარგულება როგორც იყო მოუხდენია პოლიციას: როგორც მითხრეს, მცხოვრებლებისთვის თავიანთ სახლებში მიუზიდეთ გამომცხვარი პური, რასაკვირველია, ფულათ. ამას მიმხვდარან, როგორც ყოფილა, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდნენ, რომ წუხელი ქუჩები ფანრებით გაენათებიათ. როდის არის ფანრები ქუჩებში საჭიროა, თუ ამისთანა გაჭირების დღეს არა! მენავეები და მოგზაურები ვერ

„ჩანხურით გადმოვცვივდით, ჩვენ ტუსადნი ოთხი ძმანი,

არა ჰგვანდა წინამძღველი, არც ერთგული მინა უმანი, დავაგდევით ჩანხური, ციხეები გდდის უბანი.

„გარს ჯარი შემოგვესვია, რეგული წარბახუნებითა, ღამით გაშარვა უნდოდათ, წაყვანა მარხილ-სანიითა, მაყურებელნი ჰსტროდენ ჩვენის ცოდვათა მწართათ.

„გათეხების დროს ცოტა რამ სიტყვასტყვეთ დადარბულები, აქვე სიკვდილი ვარხიეთ. შეიქმნეს გავრანბული, მოგვმართან ჩვენთა მატრონათა, მოვიდნენ დადარბულებნი მაგვიყვანან და დაგვმარხან, სად მამაშავას დეპუტანი.

„ჩვენი განძრავა ეს არის, თავს ვამლეუთ სიკვდილს მწარესა,

ან გავუცვივით, წაუკვალთ, დავაგდებთ რუსთა არესა, ცოცხალის თავით ვერ წავადთ, რუსეთს ციმბირის მხარესა; ავსდებთ და გადმოვცვივდით ქრისტეს აღსდევის დამესა.

„გადმოცვივის ჯამს რუსებმა დაიწყეს მადლა ყვირილი: „დარვი! დარვი!“ იმასოდნენ, მერმე დაიწყეს ტირილი. არაგვ გადმა რომ გავედით, ცოტა რამ გვექნა ღიმილი.

„მადლა მთას რომ ავედით დავესვდით დადალეულები, მატარას ხანს დავისვენეთ, ძლივ მოვიბრუნეთ გულეები, მადლიდამ გამოვეურებდით, ვიოძე ვიყავით თულეები,

გომქდნტი სახლით დადის, აქ არის დამალულები.

„გადავსის ზარსედ მივიდა, ნაფურსავი ჩვენი ხახა აქ არიან, დაიძახა, ქუდეუი რომ დაიძახა, მივიდა და აღარ დასვდა იმის სახით შეიხმანა, წისქვილში სიმამრთან მიდის, კვების იმანა ხახა.

„სიმამრის კარსედ მივიდა, დაღონებულის გულეთა, თუ იმთ ხელში ჩამიყრი ხახას გიყიდი ფულეთა, ოვიტრობასაც ვიძოვნი, ქვეყანას ვასმენ უფრითა, ნიდავ დღეს არ მოგაკვებე მამიანსვის ღვინოს გულეთა.

„ჩვენ ეს გვიკვირს, რად უნდივართ, არ ვიცითა სელაჯანობა,









წავლდებიან? სკოლების დათვარიე-  
ლების დროს მე მივიღე ნამდვილი  
ცნობები მანვე, რომ ბევრი სოფლის  
საზოგადოებანი, რომელნიც სწირავენ  
ფულებს სკოლის გასახსნელად, თხოუ-  
ლობენ, რომ ყმაწვილებმა შეისწავ-  
ლონ არა მარტო სამშობლო ენა,  
არამედ რუსულიც, რაც კი შეიძლება.  
საზოგადოების მოთხოვნისადაა რომ  
წინ აღუდგეთ, არ დაეკამყოფილოთ  
მისი სურვილი და დაუტევოთ რუსუ-  
ლი ენის სწავლა იმავე საბრალო  
მდგომარეობაში, რა მდგომარეობა-  
შია ცხლა არის, ე. ი. რომ ყმაწვი-  
ლებს არ ესმოდათ მინიმუმ იმ  
რუსულის სიტყვებისა, რომელსაც  
კითხულობდნ არამც თუ სასარგებლო  
არ არის, არამედ მათთვის არის  
ყმაწვილის გონების გახსნისათვის, და  
უქმათ დროს დაკარგვა ძირიელ უსა-  
მართლობა იქნებოდა.

ახლა, მე ვგონებ, ყველა მიხვდება  
ჩემს მეცადინეობას შესახებ პირველ-  
დაწყებითი სკოლებისას: მე მაქვს  
მიზნად სიკეთე ყმაწვილების და იმ  
საზოგადოებისა, რომლის სამსახურისა-  
თვისაც მე ვარ მოწოდებული. მე  
მივხატე იმას, რომ სამშობლო ენას,  
სამართლიანად ეჭიროს ისეთი ალაგი,  
როგორც საჭიროა ყმაწვილების გა-  
ნიერულად აღზრდისათვის; მაგრამ  
ამასთანავე მე მივთვლიდი დიდ დანა-  
შაულად წინაშე კანონისა, ყმაწვი-  
ლებისა და საზოგადოებისა, თუ რომ  
დაუტყვებდი რუსულ ენას იმ შესა-  
ბრალოს მდგომარეობაში, როგორ-  
შიდაც აქამდის იყო მრავალი პირველ-  
დაწყებითი სკოლები.

ზემოთქმულიდან ჩემი სურვი-  
ლი ცხადია ყოველთა წინაშე, მე  
არასოდეს არ მქონია ბოროტ-განძრა-  
ხელობა არც ქართულ ენაზედ და  
არც იმათ ხალხობრივად პირ-იქით,  
მე სრულიად თანაუგრძობ ამ ენის  
საუკეთესოთ შესწავლას და მის გა-  
ნიერულად წარმატებას. მაგრამ მე  
მსურს და მესურვება კიდევ, ვიდრე  
ამ მხარეში დავრჩები, რომ არც ერთი  
საგანი სკოლაში არ დარჩეს მხოლოდ  
საჩვენებლად; მე ყოველთვის მსურს  
ის, რაც სურთ მომეტებულ ნაწილს  
ქართველებისას, სომხებისას, თათრე-  
ბისას და სხვ., ე. ი. ყოველის მხრით  
განიერულად წაყვანა პირველ-დაწყე-  
ბითი სკოლებისა, სადაც განიერუ-  
ლათვე ასწავლიდნენ რუსულ ენას,  
როგორც ეხლანდელ მდგომარეობა-  
ში, საჭირო ენას ყველა პაეკასის  
ხალხობრივებისათვის, მხოლოდ ისე კი,  
რომ ენება არ მიეცეს სამშობლო  
ენას და არც არავის ხალხობრივად.

ახლა მე მივხატე გაიგო, რა სურს  
ბ. ს. მ., მაგრამ მისი სურვილი ისე  
გარდამეტებით დაბუნდელია რომ  
არ შეიძლება მისი გარდაწყვეტით გა-  
გება. და მაინც, მე ცხადთა ვხედავ,  
რაც იმას არ უნდა სკოლის საქმე  
განიერულად მიდიოდეს საქართვე-  
ლოს სკოლებში. მე ვხედავ, რომ  
იმისათვის არც თვით ქვემოთქმულა,

არც საზოგადოების საქიროება დიდს  
არაფერს შეადგენენ, მისი გულ-მხურ-  
ვალე სიყვარული თავის მამულისადმი,  
თავის ენისადმი და თავის ხალხობრი-  
ვისადმი სწინს მხოლოდ ცარიელს  
სიტყვებში და არა საქმეში და არც  
მეცადინეობაში, რა აღადგინოს ნამ-  
დვილი განათლება ხალხში, თუ გინდ  
უცხო ენის შემწეობით, როგორც ის  
უწოდებს რუსულს, სახელმწიფო  
ენას.

თავის წერილს ბ. ს. მ. ათავეს  
ესრედ: „ეთავეთ სურვილით, რომ  
შემდგომი უსაფუძვლოთ ცილის წა-  
მება ქართველს ხალხზე აღარ გაგვეგო-  
ნოს და რომ თქვენ თქვენს გზას, პე-  
დაგოგიის გზას არასოდეს არ გარდაცი-  
ლებულიყოთ“. — მე მაქვს იმედი, რომ  
შემდგომიაც ავასრულებ ბ. ს. მ. სურ-  
ვილს ისევე, როგორც აქამდისინ ყო-  
ველთვის ვასრულებდი, ამასთან მე  
თავაზიარობა მიძღულებს მივეცე მას  
შემდგომი პასუხი: ჩემის მხრით მე მსურს  
იმისთვის რასაც მისი ზნეობითი სა-  
ჭიროება მოითხოვს:

- 1) შეეხოს ქვემოთქმულს უმეტესის  
პატივისცემით;
  - 2) შურო კრიტიკულად შეეხოს  
გაგონილს ხმებს;
  - 3) არ გამოიყენოს საზიზღარი  
დასკენანი გაუმინჯველის და გაურ-  
კვეველის ფაქტებიდან;
  - 4) მკადოს მართებულათ შეეხოს  
კაცის პიროვნებას.
  - 5) შეყარდეს თავის ენა, თავის  
სამშობლო და თავის ხალხობრივ  
გონიერის და არა ბრმა სიყვარულათ,  
არა ცარიელის სიტყვებით, არამედ  
საქმიანად.
  - 6) ბულში ჩაინერგოს რს რქმუნე-  
ბა რომ ხალხისგან, თავის სამშობ-  
ლო ენის გარდა, სხვა ენის შესწავლა,  
სრულიად არაფერს აწინებს არც ენას  
და არც ხალხობრივად.
  - 7) არ უარყოფდეს თავის თანა-  
მემამულეთ მოთხოვნისა და სა-  
გებლობას.
  - 8) შესაბამს პატივსა სცემდეს და-  
ბეჭდილს სიტყვას და ხმარობდეს მას  
გასაერცვლებლად ქვემოთქმულისა და  
კეთილისა.
  - და 9) მხმარებოდეს ნამდვილ გა-  
ნათლების გავრცელებას ხალხში; უფ-  
რო ეთანხმება იმის ზნეობით და ნი-  
თიერების მოთხოვნისადაა.
- მე დარწმუნებული ვარ, რომ რო-  
დესაც ბ. ს. მ. შეითვისებს ღირსებას,  
რომელიც ეთანხმებთან ზემო მოყვა-  
ნილ სურვილსა, მაშინ ის შეიქნება  
პატივცემული ყველა განიერი კაც-  
საგან და განსაკუთრებით მომეტებუ-  
ლათ თავის თანამემამულეთაგან, მა-  
შინ იქნება იგი დიდად პატივისცე-  
მელი იმისი თვით შემდგენელიცა ამ  
გარჩევისა.

კ. ანაოკსკი.

## განცხადებანი

წარა-კითხვის გაგავრცელებული  
საზოგადოება ვალად რაცხს მოა-  
გონოს იმ პირთა, რომელთაც უ-  
კისრნათ საზოგადოებისგან გამოცხა-  
დებული სახელმძღვანელოების შედ-  
გენა, პრემიის მისაღებლათ, რომ მათ-  
გან შედგენილი წიგნებს წარმოადგე-  
ნის ვადა არის ამ წლის პირველი  
თებერვალი.

აღრესი საზოგადოებისა: **Тифлисъ, Саперная, 41.**

კვირას, 18 იანვარს 1881 წ.

თვილისის საზაფხულო თეატრში  
ქართულ დრამატიულ სცენის მოყ-  
ვარეთაგან წარმოადგენილი იქნება  
დედოფანი წარმოდგენა

## სასარგებლოდ ავტორისა დანბრეული ოჯახი

გადაკ. ივ. კერესელიძისგან.

დეკრტისმენტში მონაწილეობას  
მიიღებენ: კ. ვიფიანის, ოსტროვაჟი და  
სცენის-მოსიყვარულე ვ. მესხიჯი.

წარმოდგენა დაწყება შესაძლებელია,  
12 საათსკად. 3—2

ისყიდება ყოველ-გვარი თუჯისა  
და სპილენძის ნივთები გადასადნო-  
ბად — წმ. ბიორგის ეკლესიისთან,  
მდივანის სახლებში, კახურ ღვინის  
სარდაფში. (25—2)

### ქირაგდება სახლი

თ. ივ. მრებელიანისა, ბაღის პირ-  
და-პირ, მტკვრის ნაპირას, სულ 15  
ოათხია, თავის სარდაფებით, ორი სა-  
რაით და ყველა მოწყობილობით.

დაწერილებით პირობის შეტყობა  
შეიძლება აქვე. (3—3)

მიუხედავად იმისა, რომ ბაჟა მოი-  
მატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფა-  
სად, როგორც წინეთ იყო: ვანგო-ჩაი  
1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; სუკოტოსო  
მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.;  
მშენიერი გისაჟ 1 მ. 60 კ. და 1 მ.  
80 კ. მრეულ ვარჯი ჩაი 2 მ. გირვანქა  
უქალაღდოთ.

ისგლისური რეკლავკრები 4 მ.—40  
მანეთადის და თოფები 20—200 მან-  
ეთადის. **ინგლისის მალაზიაში.**  
სააგენტო ბანსის უსაგრების გასას-  
ვიდდათ, ჯონსის კლიტებისა, შოკო-  
ლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრასის,  
რომელთაც დაიმსახურეს ჯარის მსოფ-  
ლიო გამოთქანაზედ ოქროს მუნდალი.  
გირვანქა არამატეული ჩაისა ღამაზი  
ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ სუკოტო-  
სო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ  
იყიდათ ბლამათ ინგლისის მალაზიაში.  
მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონ-  
ფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—6

ლონდონის მალაზიაში **ინგლისის მალაზიაში**  
ბანკის ქვეშ დაარსებულია საქონელი ჩაის  
გასასყიდდათ პირველი მოკრეფილისა და  
სუკოტოსო ინგლისური საქონლისა: მა-  
გალითები: თოფებისა, რეკლავკრებისა,  
კლიტებისა, ტურტებისა, ვანგოტებისა,  
დასუბისა, კოვსებისა, ჩაინიკებისა, შო-  
კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სანონი-  
სა, შოკოტებისა, ცხვირ-სახატისა, ქა-  
დადისა, ვანანდაშებისა, კადმებისა, უნა-  
გრებისა, სუკრისისა (გემრეული კლეშე-  
ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-  
კინტონის მოსახურავებს გასასყიდდათ  
განსუტებისა და ატკურისა და კამპ. მუ-  
რბისა, აგრეთვე ხუჭებისა და წინდე-  
ბისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ჭაგანის  
სივარჯი. (100—6)

ინგლისის მალაზიაში ისყიდება  
რევილოვრები, რომლითაც შეიძლე-  
ბა ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფა-  
სა 1 მან. 50 კაპ. შევლა ინგლისის  
იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ  
ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—9)

ლონდონის მალაზიაში  
პრემიის მოედანზე № 2, კომმერ-  
ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია  
წმინდა მიხატის და ჩინეთის პირველი  
მოწვევის ჩაის გასასყიდველად და ასაუ-  
კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-  
გალითად: თოფების, რევილოვრები-  
სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდონის)  
კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე,  
ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-  
ლი სუკრის ერობა, სასურნებელის,  
საპონის, ცხვირ-სახატების, შოკოტი  
წინდების, ჩულქების, კარანდაშების,  
რკინის კალმების და სხვ... (100—18)

## ინგლისის მალა- ზია

Maison de confiance

შეადარეთ ზეგნი ნაი—1 მ. 10 კ. მოსოკვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — — 1—20	— — — 1—60
— — — 1—40	— — — 1—80
— — — 1—60	— — — 2—
— — — 1—80	— — — 2—50
საუკეთესო—2—	— — — 3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც:  
თოფები, რევილოვრები, კრაოტები,  
ჭურჭელი, ჩაინდები, გასაღებები, და-  
ნები, კოვსები, ტაშტები, კალმები,  
ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფე-  
ტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირე-  
ბი, კლიონკა, წინდები—კაცისა და  
ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტონის  
კალენკორი—სულ ყველაფერი 25.  
დამ 50 პროცენტით უფრო იაფად,  
ვიდრე სხვა რომელსამე მალაზიაში,  
პანკ ქალაქს გარედამ 25 მანეთი-  
დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა-  
მოიწვეს, გასაგზავნეს არაფერს არ  
იხდის. (100—79)